საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 13 ნოემბერი, 2020 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/16

„ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 მაისის № 04-01/19 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №04-01/19 დადგენილებაში, კერძოდ, დანართი 1-ში (წესში) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

ა) წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ვ“ და ,,ზ” ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური) არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის და ამ ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომის ან სერტიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა;

ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (**შენიშვნა**: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის

ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება) - გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში.“

2. ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება განთავსდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**